საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №230/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- დირექტორის -- -- 2018 წლის 17 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 17 ივნისის №230/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე უსაფუძვლოდ აჭიანურებს საქმის განხილვას და არ ნიშნავს მთავარ სხდომას.

დისციპლინური სამართალწარმოების პერიოდში საჩივრის ავტორმა დამატებით წარმოადგინა განცხადებები 26.11.2018; 08.01.2019; 23.01.2019; 07.02.2019; 18.02.2019; 22.03.2019; 23.05.2019 წწ პერიოდებში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 11 დეკემბერს -- -- სარჩელით და სარჩელის უზრუნველყონის ღონისძიების გამოყენების შესახებ თხოვნით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე.

2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა დაედო -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებს.

18.12.2017; 20.12.2017; 22.12.2017; 25.12.2017 წწ პერიოდებში მოპასუხეებს ჩაბარდათ სარჩელი და თანდართული მასალები. 2017 წლის 22 დეკემბერს მოპასუხე მხარემ საჩივარი წარადგინა 2017 წლის 12

დეკემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 8 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

28.12.2017; 29.12.2017; 03.01.2018 წწ პერიოდებში მოპასუხეებმა -- სასამართლოში წარადგინეს შესაგებლები.

2018 წლის 4 აპრილს გამართული სასამართლო სხდომა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მორიგების მიზნით გადაიდო სხვა დროისთვის. სასამართლო სხდომა გაიმართა ასევე 2018 წლის 7 მაისს.

2018 წლის 30 მაისს გამართულ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა -- -- არასათანადო მოპასუხედ მიჩნევისა და მოპასუხეთა წრიდან ამორიცხვის თაობაზე; მოწმეთა დაკითხვის თაობაზე; მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე, რაზეც სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა საოქმო განჩინებები.

2018 წლის 28 ივნისს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე. 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 15 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მტკიცებულების წარმოდგენის მიზნით დამატებითი ვადის მიცემასა და სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის გადადებაზე.

2018 წლის 7 სექტემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს -- -- და ითხოვა სხდომის გადადება, რადგან არ იქნებოდა ქვეყანაში და ვერ გამოცხადდებოდა 2018 წლის 26 სექტემბერს ჩანიშნულ პროცესზე.

2018 წლის 14 სექტემბერს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

2018 წლის 21 სექტემბრის განჩინებით განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 9 ოქტომბერს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.

2018 წლის 15 ოქტომბერს გამართული სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ სხდომაში.

2018 წლის 2 ნოემბრის განჩინებით -- -- წარმომადგენლის -- -- მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ -- ლარის ნაწილში დარჩა განუხილველი, ხოლო -- ლარის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 27 ნოემბერს -- -- წარმომადგენელმა საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე.

2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 ნოემბრის განჩინების გაუქმების შესახებ დაუშვებლობის მოტივით 5 დღის ვადაში საქმის ელექტრონულ მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 ნოემბრის განჩინების გაუქმების შესახებ დარჩა განუხილველად.

2018 წლის 24 დეკემბერს გაიმართა სასამართლო სხდომა. საოქმო განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა მოწმის იძულებით მოყვანის თაობაზე დაკმაყოფილდა.

სასამართლო სხდომები გაიმართა 16.01.2019; 20.03.2019; 22.04.2019; 15.05.2019; 19.06.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 15 მარტს -- -- განცხადება წარადგინა სასამართლოში და ითხოვა -- -- მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხა განეთავსებინა.

2019 წლის 22 მარტის განჩინებით -- -- წარმომადგენელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- -- სასამართლოს 2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ყადაღა დაედო -- -- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებს.

2019 წლის 25 მარტის განჩინებით შეწყდა წარმოება 2019 წლის 15 მარტს წარმოდგენილ განცხადებაზე, რომლის თანახმად, -- -- წარმომადგენლის -- -- მიერ მოთხოვნილი იყო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის სახით -- ლარის ოდენობით თანხის საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსება.

2019 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2018 წელს მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 148 სამოქალაქო საქმე, დაასრულა 93 სამოქალაქო საქმე (62%), ხოლო 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა 156 სამოქალაქო საქმე, დაასრულა 88 სამოქალაქო საქმე (56%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- დირექტორის -- -- 2018 წლის 17 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria; 50; Bock v. Germany, 35).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; 93; Tiece v. San Marino; 31; Suermeli v. Germany, 129.).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნულ საქმეს მოსამართლე განიხილავდა 2017 წლის 11 დეკემბრიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 1 წელი და 6 თვე.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №230/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი